ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2204633

ნომერი: AR1341107

თარიღი : 11.09.2015

გაცემის თარიღი : 06.10.2015

გაცნობის თარიღი : 06.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 114 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ ლომთათიძე პ/ნ 01022005044
- თბილისი სანერგე მეურნეობის დას.

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 იანვრის #1684064 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015

წლის 11 სექტემბერს #AR1341107 განცხადებით მომართა არჩილ ლომთათიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 13 იანვრის #1684064 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 იანვრის #1684064 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, გამზირი აკაკი წერეთელი #114, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.13.05.003.006), საზოგადოებრივი–კვების ობიექტის (კაფე–ბარი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 14 იანვრიდან 2015 წლის 14 ივლისის ჩათვლით. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულია მშენებლობის ნებართვის გაცემის ნაწილში.

სამსახურის 2015 წლის 13 იანვრის #1684064 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს კოკა–კოლა ბოთლერს ჯორჯია. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის: #882015321632; მომზადების თარიღი: 16/06/2015 წ.; საკადასტრო კოდი: #01.13.05.003.006) მიხედვით, საპროექტო ობიექტის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს კოკა–კოლა ბოთლერს ჯორჯია, რომლის დირექტორს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B15132453; მომზადების თარიღი: 19/06/2015 წ.; ს/კ: #201948063) თანახმად, წარმოადგენს თემურ ჭყონია. სამსახურში წარმოდგენილ იქნა 2015 წლის 1 მაისის მინდობილობა, რომლითაც შპს კოკა–კოლა ბოთლერს ჯორჯია (ს/კ: #201948063) ენდობა არჩილ ლომთათიძეს მასზედ, რომ მას უფლება აქვს იყოს ფირმის წარმომადგენელი, სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და შეათანხმოს სამშენებლო პროექტები ფირმის კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, გამზირი აკაკი წერეთელი #114–ში, ხელი მოაწეროს და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭიროა აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 იანვრის #1684064 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან მას აღარ აქვს აღნიშნული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების ინტერესი. სამსახურში წარმოდგენილი სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათებით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე ნაწარმოები არ არის სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34–ე მუხლის შესაბამისად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

შესაბამისად, ვინაიდან ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტის საფუძველზე მესაკუთრეს აღარ აქვს სამშენებლო სამუშაოების წარმოების ინტერესი და ამასთან, საპროექტო ობიექტზე ნაწარმოები არ არის სამშენებლო სამუშაოები, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 იანვრის #1684064 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე – არჩილ ლომთათიძის 2015 წლის 11 სექტემბრის #AR1341107 განცხადება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 13 იანვრის #1684064 ბრძანება;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.